

დასარტყამი ინსტრუმენტების გამომსახველობითი ხერხები და ფუნქციები სულხან ნასიძის სიმფონიაში „ფიროსმანი“

ლევან ბაგრატიონ-დავითაშვილი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი, გრიბოედოვის 8.

დოქტორანტი (სპეციალობა კომპოზიცია)

ხელმძღვანელები:

ნოდარ მამისაშვილი, კომპოზიტორი, თეორეტიკოსი, ასოც. პროფესორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი;

მარინა ქავთარაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ასოც. პროფესორი.

ანოტაცია:

სტატიაში განხილულია გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის სულხან ნასიძის სიმფონია „ფიროსმანი“ დასარტყამი ინსტრუმენტების გამომსახველობითი ხერხები და ფუნქციები. ჩატარებული ანალიზის შედეგად აღინიშნება დასარტყამი ინსტრუმენტების გამოყენების განსაკუთრებული მრავალფეროვნება. ამ თვალსაზრისით გამოყოფილია სიმალის მქონე დასარტყამი ინსტრუმენტები, რომლებიც კომპოზიტორმა წარმოგვიდგინა მelloდური, ჰარმონიული, დინამიკური, ბანის, პედლის ფუნქციით.

სიმალის არმქონე დასარტყამ ინსტრუმენტებში ყურადღება გამახვილებულია რიტმული პატერნის ფუნქციაზე. კომპოზიტორის მიერ შემოთავაზებული დასარტყამი ინსტრუმენტების ტემბრული დაშრეების შედეგად მიღებული მრავალფეროვანი ჟღერადობა სხვადასვა ფუნქციურ დატვირთვას იძენს, რისი მაგალითებიც არის წარმოდგენილი სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: სულხან ნასიძე, სიმფონია „ფიროსმანი“, დასარტყამი ინსტრუმენტები, გამომსახველობითი ხერხები, ტემბრული დაშრეება.

სულხან ნასიძე მე-20 საუკუნის 60-იანელთა თაობის ქართული მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. განსაკუთრებით დიდია სულხან ნასიძის როლი ქართული სიმფონიური მუსიკის განვითარების საქმეში.


მსხვილი ფორმის, კონცეფციური ინსტრუმენტული ჟანრების - სიმფონიის, კონცერტის, კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლის წამყვანი მნიშვნელობა მის შემოქმედებაში, - შემოქმედი-ინტელექტუალის თვისებებითაც არის განპირობებული. მისი შემოქმედებითი მეძვიდრობის ჟანრი სიმფონიაა (8 სიმფონიის ავტორია) და ის ღირსეულად მიეკუთვნება უდიდეს ქართველ სიმფონისტთა რიცხვს.

„პროგრამულია სულხან ნასიძის სამი უკანასკნელი სიმფონია: *ფიროსმანი*, *პასიონე და დალაი* (5,6,7 ბოლო სიმფონიები). მისი სიმფონიების პროგრამულობაზე მეტყველებს თვით მუსიკის ხასიათი--ინტონაციური განვითარების სიუჟეტი, კომპოზიციის ლოგიკა, ჟანრობრივი პარამეტრების შეპირისპირება, დრამატული აზროვნების თავისუფლება და გამიზნულობაც“ (გ. ორჯონიკიძე, 2003 : 7). საკვებით ვიზიარებთ რა გ. ორჯონიკიძის მოსაზრებას სულხან ნასიძის აღნიშნული სიმფონიების შესახებ, გვინდა გამოვყოთ სიმფონია „ფიროსმანი“, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენი


ინტერესის სფეროს წარმოადგენს დასარტყამი ინსტრუმენტების გამომსახველობითი ხერხების გამოყენებისა და მათი ფუნქციების მრავალფეროვნად გააზრების კუთხით.

„ფიროსმანის“ პარტიტურა მეტად საინტერესოა დასარტყამი ინსტრუმენტების მრავალფეროვანი დატვირთვის თვალსაზრისით. სწორედ აღნიშნული საკითხის ანალიზი, გაორკესტრების ტექნოლოგიური მხარე არის ჩვენი სტატიის ძირითადი თემა; კერძოდ ის, თუ რომელი დასარტყამი ინსტრუმენტი (ან მათი ჯგუფი) რა ფუნქციითა და რა ხერხებით არის წარმოდგენილი. აღნიშნული სიმფონია ამ თვალსაზრისით არ არის განხილული სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაში.

ნაწარმოები დასაწყისიდანვე ყურადღებას იქცევს კომპოზიტორის მიერ დასარტყამი ინსტრუმენტების შერჩევისა და მათი გამომსახველობითი შესაძლებლობების წარმოჩენით: 1-4 ტაქტებში ვიბრაფონი (Vibr) და ჩელესტა (Cel) მელოდიური ფუნქციითაა წარმოდგენილი. ვიბრაფონის (Vibr.) დაბალ რეგისტრში მოცემული მელოდია ჩელესტასთან (Cel) ერთად უნისონში ამ ინსტრუმენტების ტემბრული დაშრევების ხერხის გამოყენებით ძალიან საინტერესო და განსაკუთრებულ გამომსახველობით ჟღერადობას გვაძლევს PP-ზე. მე-4 ტაქტში ვიბრაფონისა (Vibr.) და ჩელესტას (Cel.) მელოდიური ფუნქციით შეკავებულ ბგერებს ემატება პატარა ზარების (C-lli) და არფის (Arp) ერთდროული ჟღერადობა. ამ მონაკვეთში სიმაღლის მქონე დასარტყამი ინსტრუმენტი წარმოგვიდგება მელოდიური ფუნქციით და, ამავე დროს, ეს ადგილი საინტერესოა მრავალტემბრული თვალსაზრისითაც. მაგ.1



ტრემოლო, რომელიც ჟღერს ფორტეპიანოს (P-no) კლასტერით ყველაზე დაბალ რეგისტრში 4ც.7-10ტაქტებში თეფშებისა (P-tti) და ტამ-ტამის (T-t) პარტიტურაში, დინამიკური ფუნქციის თვალსაზრისით ნიმუშია. ამ სიმაღლის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტების ერთდროული ხმოვანება ტემბრულად არაორდინალურ ჟღერადობას გვაძლევს. მაგ.2



4ც.11-14ტაქტებში დასარტყამი ინსტრუმენტები შეიძლება დავყოთ შემდეგი ფუნქციებისა და ხერხების მიხედვით:

1. ვიბრაფონი (Vibr.), ჩელესტა (Cel.) და მეორე ვიოლინებიდან ორი სოლო ვიოლინო (Vni II 2 soli col legno) უნისონში მელოდიური ფუნქციით. აღსანიშნავია, რომ თავისებური ტემბრული ჟღერადობა ვიოლინოების (Vni) დამატებით არის მიღებული.

2. ტამ-ტამი (T-t) და ფორტეპიანო (P-no) ტრემოლოებით პედლის ფუნქციას ასრულებს.

3. კამპანესა (C-ne) და არფის (Arpa) შერეულ ტემბრულ ხმოვანებას ემატება პედლის ფუნქცია, რომელიც მიღებულია ბგერის შეკავების შედეგად.

4. ტამ-ტამსა (T-t) და ფორტეპიანოს (P-no) ტრემოლოს ძლიერ დროზე მხოლოდ პირველ ტაქტში, წერტილოვანი დარტყმის საშუალებით ემატება თევზები (P-tti). მაგ.3

Musical score for measures 9-13. The score includes parts for Ptti, Tt, C-ne, vibr., Cel., Arpa, P-no, V-niII, and C-b. The score includes dynamic markings like *pp* and *2 soli col legno*.

ტიმპანის (Timp.) ტრემოლო და კონტრაბასი (C-B) 9 ც.12-13 ტაქტებში სოლოს სახით არის მოცემული და შერეული ტემბრით გაბმული პედლის ფუნქციას ასრულებს. მაგ.4

Musical score for measures 11-12. The score includes parts for Timp., V-niI, V-niII, V-le, V-c., and C-b. The score includes dynamic markings like *pp* and *solo*.

ტიმპანის (Timp) ტრემოლო 11ც.7ტაქტიდან-12ც.7ტაქტამდე ფორტეპიანოსა (P-no) და კონტრაბასის (C-b) გაბმული ბანის ბგერებთან ერთად პედლის ფუნქციას

ასრულებს PP-ზე. ამავე დროს დაფდაფის (Cassa) ჩარჩოზე არაორდინალური შესრულების ხერხით კომპოზიტორი გვთავაზობს პულსირებულ რიტმს. ეს მუსიკალური მონაკვეთი საინტერესოა ტემბრული დაშრევებითა და რიტმული ფუნქციის სახეობით. მაგ.5

Figure 5 shows a musical score for measures 8 and 9. The score includes staves for Timp., Cassa, Comb., Arpa, P-no, and C-b. The Timp. staff has a *pp* dynamic. The Cassa staff has a *p* dynamic. The Comb. staff has a *p* dynamic. The Arpa staff has a *p* dynamic. The P-no staff has a *p* dynamic. The C-b. staff has a *div.* dynamic.

12ც. 8 და 9ტაქტებში, რომლებიც „პეჩორის პოლკის“ მარშს წინ უძღვის, სიმადლის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტები ასეთი შემადგენლობითაა წარმოდგენილი: პატარა დაფდაფი (T-ro), თეფშები (P-tti) და დაფდაფი (Cassa), რომლებიც ორგანიზებული რიტმული პატერნის სახითაა მოცემული. აღსანიშნავია, რომ მე-9 ტაქტში პატარა დაფდაფი (T-ro) იცვლება დაფით (T-no), ხოლო მე-13ც.3ტაქტიდან დაფი (T-no) პატარა დაფდაფით (T-ro). კომპოზიტორი რეალური სინამდვილის ასახვას ორი უცხო ტექსტის კოლაჟის ხერხით ახდენს: იმ დროისათვის პოპულარული „პეჩორის პოლკის“ მარშითა და ფრაგმენტით დონიცეტის ოპერიდან „ფავორიტი ქალი“. 13ც. 1-16 ტაქტის ჩათვლით „პეჩორის პოლკის“ მარშისთვის დამახასიათებელი, ორგანიზებული რიტმების პატერნია მოცემული. მაგ.6

Figure 6 shows a musical score for measures 1-16. The score includes staves for Tno, Ptti, and Cassa. The Tno staff has a *p cresc.* dynamic. The Ptti staff has a *p cresc.* dynamic. The Cassa staff has a *cresc.* dynamic.

დაფს (T-no) შედარებით აქტიური რიტმული ფიგურა აქვს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-3 ტაქტიდან პატარა დაფდაფით (T-ro) იცვლება, ხოლო თეფშებსა (P-tti) და დაფდაფს (Cassa) პარტიებში მარშისათვის დამახასიათებელი ორწილადი პულსირებული რიტმი აქვს მერვედებით. მაგ.7

Figure 7 shows a musical score for measures 12-14. The score includes staves for Tno, Ptti, and Cassa. The Tno staff has a *p* dynamic. The Ptti staff has a *p* dynamic. The Cassa staff has a *p* dynamic.

ეს მონაკვეთი 15 ც. 12-14ტაქტამდე საორკესტრო პარტიების ტემბრული დაშრევების ტიპური ნიმუშია. სიმადლის მქონე დასარტყამი ინსტრუმენტებიდან ტიმპანებია (Timp) მოცემული კონტრაბასებთან (G-b) და ჩელოებთან (Cell) ერთად ვერტიკალში, რაც თავისთავად ტემბრულ მრავალფეროვნებას გვაძლევს. მაგ.8

stringendo

Fl.
Ob.
Cl.
Fag.
Cor.
Tr-be
Tr-ni
&
Tuba
Timp.
Archi

15ც. 15-16ტაქტებში მათ ემატებათ სიმალის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტებიდან თევზები (P-tti) და დაფდაფი (Cassa) *f*-ზე, რაც ერთგვაროვანი რიტმული პატერნის ფუნქციის თვალსაჩინო მაგალითია. მაგ.9


Timp.
Ptti
Cassa

ტიმპანები (Timp) ტრემოლოთია მოცემული 17ც. 1-2 ტაქტებში, რომელიც ფორტე-პიანოს (P-no) პედლის ფუნქციას აძლიერებს და მათ ერწყმის ვიბრაფონის (Vibr.) პარ-

ტია მელოდიური ფუნქციით. აქაც მრავალფუნქციურ დაშრევებასთან გვაქვს საქმე. აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთში, კომპოზიტორს სიმაღლის მქონე ორი დასარტყამი ინსტრუმენტი განსხვავებული ფუნქციური დატვირთვით აქვს გამოყენებული. მაგ.10



კომპოზიტორი კვლავ 20ც.-დან სიმაღლის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტებით მყარი რიტმული სტრუქტურის მქონე სურათს (პატერნს) გვთავაზობს. ამგვარი შერეული მეტრული დაჯგუფება $\frac{9}{16} \left(\frac{5}{16} + \frac{4}{16} \right)$, ჩვენი აზრით, ქართული ცეკვის „ხორუმის“ მსგავს განწყობას ქმნის. „პეჩორის პოლკის მარში“ 13ც. 1-16ტაქტებში ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულ პატერნში მხოლოდ ერთი დასარტყამი ინსტრუმენტი პატარა დაფდაფი (T-ro) გამოირჩეოდა აქტიური რიტმული ფიგურით, ხოლო თეფშები (P-tti) და დაფდაფი (Cassa) მარშისათვის $\frac{2}{4}$ -ზე დამახასიათებელ მკაცრ პულსირებულ რიტმს აძლიერებს. აქ კი მე-20 ციფრიდან ძირითადი აქცენტი წამყვან რიტმზეა გადატანილი, რასაც ასრულებს ორი სხვადასხვა ინსტრუმენტი ვერტიკალში - პატარა დაფი (T-ro) და სამი ტომ-ტომი (tom-tom). რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, დაფის (T-no) შერეული რიტმული აქცენტების პულსაცია, მეორე მხრივ, პატარა დაფდაფისა (T-ro) და სამი ტომ-ტომის (tom-tom) ტემბრულად დაშრევებული და რაოდენობრივად მეტი დასარტყამი ინსტრუმენტის აკუსტიკური შესაძლებლობა, ბევრად უფრო დამაბულ და დინამიკურად ძლიერ ჟღერადობას ქმნის. მაგ.11



20ც. 7-8ტაქტებში პატარა დაფდაფისა (T-ro) და ტომ-ტომების (tom-tom) რიტმულ ფიგურას ოცდამეთორმეტედებით ვერტიკალში მონაცვლეობით დაეშრევა პორტეპიანოს (P-no) მარჯვენა ხელის პარტიაში, მაღალ რეგისტრში, ჰარმონიული აკორდი და მარცხენა ხელის პარტიაში, ვიოლინოს გასაღებში, კლასტერი. დაფს (T-no) რიტმულ ვერტიკალში ასევე დაეშრევა ხემიანები და ვალტორნები (Cor.) მეთექვსმეტედებით, რასაც კიდევ ემატება დინამიკური ფუნქციაც და, საბოლოოდ მოცემულ მონაკვეთში ძლიერდება ჟღერადობა *ff* -დან *fff* -მდე.

ჩვენი აზრით, კომპოზიტორმა ეს მყარი რიტმული სტრუქტურა დაყო საკრავთა ორ ჯგუფად: 1. დაფი(T-no), ხემიანები და ვალტორნები(Cor); 2) პატარა დაფდაფი(T-ro), ტომ-ტომები(tom-tom) და ფორტეპიანო(P-no). ამრიგად, სიმაღლის არმქონე დასარტყამ ინსტრუმენტებზე სიმაღლის მქონე ინსტრუმენტების დაშრევებით ვერტიკალში ამ პატერნმა მიიღო აშკარად გამოკვეთილი ეფექტური ჟღერადობა. მაგ.12

განსაკუთრებული ძლიერი ხმოვანებით გამოირჩევა 24ც. 11-12ტაქტები: ლითონის ჩასაბერ ინსტრუმენტებს (საყვირები (Tr-be), ტრომბონები (Tr-ni) ტუბა (Tuba)) ვერტიკალში ტემბრულად ემრევა დასარტყამი ინსტრუმენტები (პატარა დაფდაფი (T-ro), ტომ-ტომები(Tom-tom), დაფდაფი(Cassa)), რასაც ემატება ტამ-ტამის(T-t) ტრემოლო, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ხმოვანებას. მაგ.13

კომპოზიტორი სიმაღლის მქონე დასარტყამი ინსტრუმენტების ტემბრულ თავისებურებებს გააზრებულად იყენებს და გამომსახველობით ფუნქციას ანიჭებს.

26ც.-დან--7ც.5ტაქტმდე იგი გვთავაზობს პატარა ზარებით(C-lli) მელოდიურ ხაზს, ჩელესტას (Cel) აკომპანემენტითა და ჰობოების (Ob) თანხლებით.

ფორტეპიანოზე (P-no) კლასტერით, ყველაზე დაბალ რეგისტრში და დასარტყამი ინსტრუმენტები (T-ro, Tom-tom და Cassa) ვერტიკალში *sf*-თი და *secco*-თი აქცენტირებული, წერტილოვანი დარტყმითაა გამოყენებული. მოცემულ მონაკვეთში 26ც.10 ტაქტიდან-- 27ც.5ტაქტამდე ფორტეპიანო(P-no) *sf*-თი და პატარა დაფდაფი (T-ro), ტომ-ტომი(Tom-tom) და დაფდაფი(Cassa) *sf* და *secco*-თი წერტილოვანი, აქცენტირებული დარტყმის გახშირებით რიტმული პატერნის სახეს ქმნის, რაც შემდგომში წამყვან როლს თამაშობს 29 ციფრამდე. ამ ტაქტებში მრავალფუნქციურ დაშრეგებასთან გვაქვს

საქმე. ერთი მხრივ, მოცემულია მელოდიური ფუნქცია, ხოლო მეორე მხრივ, რიტმული ფუნქცია, რომელიც წერტილოვანი დარტყმის ხერხითაა წარმოდგენილი. მაგ.14

28ც. 4-5ტაქტებში კვლავ მრავალფუნქციური დატვირთვა აქვს დასარტყამ ინსტრუმენტებს. კერძოდ, თეფშები (P-tti) პედლის ფუნქციას ასრულებს სხვა ინსტრუმენტებთან ერთად და ამავდროულად პატარა დაფდაფს (T-ro) რიტმული ფუნქცია აქვს *ff*-ზე. მაგ. 15

ასევე ფუნქციურ მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე 30ც-იდან 31ც-მდე. ამ შემთხვევაში თეფშების (P-tti) ტრემოლო პედლის ფუნქციით არის მოცემული, ხოლო ზარები (C-ne) პულსირებული რიტმის სახითაა წარმოდგენილი. ნიშანდობლივია, რომ აქ კომპოზიტორი შემოიფარგლება სიმადლის მქონე ზარების (C-ne) მხოლოდ მი (E) ბგერის გამოყენებით და მელოდიური ფუნქციით არ ტვირთავს. მაგ.16

ზარებთან (C-ne) შედარებით დაფდაფი (Cassa) რიტმულად აქტიური და დინამიკური (P-დან *cress*-ით) ფუნქციით გამოირჩევა 30ც. 7-8ტაქტებში. მაგ.16ა

მაგ.16ბ

განსხვავებული ფუნქციებითაა წარმოდგენილი 31ც-დან--32ც-მდე ოთხი დასარტყამი ინსტრუმენტი: ტიმპანები (Timp), თეფშები (P-tti), დაფდაფი (Cassa), და ზარები (C-ne).

1) ტიმპანები (Timp.) ტრემოლოთი და აქცენტირებით დაშრევებულია ჩელოებთან (Cell), კოტაბასათან (C-b), ტუბასთან (Tuba), ფაგოტებთან (Fag), ბას კლარნეტებთან (Cl.b) და ვალტორნებთან (Cor). მათ ასევე პედლის ფუნქციაც აქვთ.

2) დაფდაფს (Cassa) პედლისა და დინამიკური გაძლიერების ფუნქციები აქვს 31 ც. 4, 7, 8, ტაქტებში.

3) თეფშები (P-tti) წერტილოვანი დარტყმით ძლიერ დროზე, მთელი გრძლიობით ჟღერადობას აძლიერებს, აგრძელებს და პედლის ფუნქციასაც ასრულებს.

4) ზარები (C-ne) კი მისი რიტმულ-ტემბრული ფუნქციით დაშრევებულია მეორე ფლეიტაზე (Fl), მეორე კლარნეტზე (CL.), მესამე საყვირზე (Tr-be), მესამე ტრომბონზე (Tr-ni), ორღანზე (Org) და ალტებზე (Alti) 31 ც 3 ტაქტში. მაგ.17

The image shows a musical score for measures 31-33. The instruments listed on the left are: Fl. (Flute), Ob. (Oboe), Cl. (Clarinet), Cl.b. (Bassoon), Pag. (Paganini), Cor. (Cor), Tr-be (Trumpet), Tr-ni (Trombone), Tr-ni (Trumpet), e Tuba (Tuba), Timp. (Timpani), Cassa (Cassa), C-ne (C-ne), Org. (Org), and Archi (Archi). The score is written in 4/4 time and features various musical notations including notes, rests, and dynamic markings. The bottom of the score is labeled 'C 5317 K'.

32ც. 5-11ტაქტებში ვიბრაფონის (Vibr.) ტემბრული ჟღერადობა პედლის ფუნქციით არის გამოყენებული ალტ ფლეიტასთან (Fl alto) ერთად უნისონში. მე-17 ტაქტში კი მხოლოდ ვიბრაფონია (Vibr.) გამოყენებული ალტ ფლეიტას (Fl alto) შეკავებულ ფონზე. მაგ.18



ტიმპანის (Timp.) ტრემოლო 32ც. 14-15 ტაქტებში, რომელიც ფორტეპიანოსთან (P-no) ერთად ვერტიკალში პედლის და ბანის ფუნქციის მატარებელია, ემატება ზარების (C-ne) დო მინორის სეპტაკორდის (C-moll 7) ჰარმონიული ფიგურაცია მეთექვსმეტედებით, დადმავალი ტეხილი არპეჯირებული სვლით. ამ შემთხვევაში ზარები (C-ne) ჰარმონიული ფუნქციითაა გამოყენებული. ინსტრუმენტების ამგვარი დაშრევა ეფექტურ, განსხვავებულ ჟღერადობას იძლევა. ეს მაგალითიც იმაზე მიუთითებს, რომ დასარტყამ ინსტრუმენტებს გამოყენების ამოუწურავი შესაძლებლობები აქვთ, რასაც ასე ბრწყინვალედ წარმოაჩენს კომპოზიტორი. აღნიშნული მაგალითიც ტემბრული დაშრევის შედეგად მიღებული მრავალფეროვანი ჟღერადობის ნიმუშია.

მაგ.19



34ც. 1-7 ტაქტებში ვიბრაფონი (Vibr.) მელიოდიური ფუნქციითაა მოცემული, ხოლო 34ც.3 და 7 ტაქტებში კი სამკუთხედისა (Tr-lo) და ჩელესტას (Cel) ჟღერადობა ძლიერ დროზე პედლის ფუნქციით ემატება. ნაწარმოების დასაწყისში კომპოზიტორმა ფორტეპიანოსთან (P-no) ერთად სამკუთხედის (Tr-lo) ტემბრული დაშრევა შემოგვთავაზა, ხოლო ნაწარმოების დასასრულს ფორტეპიანო (P-no) ჩელესტას (Cel) ტემბრით ჩაანაცვლა.

მაგ.20



35ც. 6-10 ტაქტებში ტიმპანებს (Timp) ვერტიკალში ერწყმის არფა (Arpa), ტუბ (Tuba), ფაგოტები (Fag.), ბას კლარნეტები (Cl.b.). ეს ინსტრუმენტები აქცენტირებულ-პულსირებულ რიტმს ქმნიან, რაც რიტმული პატერნის სახეს იღებს და წამყვან როლს იძენს 37ც.-მდე. მაგ.21

The musical score for measures 6-10 features six staves. The first four staves (Cl.b., Fag., Tr-ni e Tuba, and Timp.) are in bass clef and show a rhythmic pattern of eighth notes with a crescendo. The fifth staff (Chit.) is in treble clef and shows a melodic line with a slur. The sixth staff (Arpa) is in bass clef and shows a rhythmic pattern of eighth notes with a crescendo. The dynamic markings are 'p molto cresc.' for the first four staves and 'molto cresc.' for the last two staves.

მე-10 ტაქტის პირველ თვლაზე პულსირებულ-აქცენტირებული ფუნქციის მქონე ინსტრუმენტთა შემადგენლობას თევზებიც (P-tti) ტრემოლოთი, პედლის ფუნქციით დაემატება ძლიერ დროზე. მაგ.22

The image shows a musical score for a symphony orchestra. The staves are labeled as follows from top to bottom: Cl.b. (Clarinet in B-flat), Fag. (Bassoon), Cor. (Cor Anglais), Tr-be (Trumpet in B-flat), Tr-ni e Tuba (Trumpet in C and Tuba), Timp. (Timpani), Ptti (Percussion), and P-no (Piano). The score is written in a single system with various musical notations including notes, rests, and dynamic markings.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სულხან ნასიძე სიმფონია „ფიროსმანში“ დასარტყამი ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო პალიტრას გვთავაზობს.

სიმაღლის მქონე და სიმაღლის არმქონე დასარტყამ ინსტრუმენტებს სხვადასხვა დატვირთვა აქვს.

სიმაღლის მქონე დასარტყამ ინსტრუმენტებს კომპოზიტორი შემდეგი ფუნქციებით წარმოგვიდგენს:

1. მელოდირი ფუნქციით: ვიბრაფონი (Vibr.), პატარა ზარები (C-lli).
2. პედლის ფუნქციით: ვიბრაფონი (Vibr.), ზარები (C-ne)
3. ჰარმონიული ფუნქციით: ზარები (C-ne)
4. დინამიკური ფუნქციით: ზარები (C-ne),
5. ბანის ფუნქციით: ტიმპანი (Timp)

სიმაღლის არმქონე დასარტყამი ინსტრუმენტები კი წარმოგვიდგება შემდეგი ფუნქციებით:

1. რიტმული პატერნის ფუნქციით: პატარა დაფდაფი (T-ro), დაფი (T-no), თეფშები (P-tti), დაფდაფი (Cassa), ტომ-ტომები (Tom-tom).
2. პედლის ფუნქციით: თეფშები (P-tti), ტამ-ტამი (T-t), სამკუთხედი (Tr-lo), დაფდაფი (Cassa).
3. დინამიკური ფუნქციით: დაფდაფი (Cassa), ტამ-ტამი (T-t), თეფშები (P-tti).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპოზიტორის მიერ შემოთავაზებული დასარტყამი ინსტრუმენტების შერწყმის შედეგად მიღებული მრავალფეროვანი ჟღერადობა. გვაქვს როგორც ფუნქციური ასევე ტემბრული დაშრევების მაგალითები.

სიმაღლის მქონე დასარტყამი ინსტრუმენტების ერთდროული ჟღერადობა სიმაღლის არმქონე დასარტყამ ინსტრუმენტებთან, ასევე სხვადასხვა ჯგუფის ინსტრუმენტებთან და ა.შ.

ამრიგად, კომპოზიტორმა მაქსიმალურად გამოიყენა დასარტყამი ინსტრუმენტების შესაძლებლობები და დაშრევების ხერხით შექმნა უაღრესად საინტერესო, არაორდინალური ჟღერადობა. ჭეშმარიტად, კომპოზიტორის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ეს არის არაჩვეულებრივად ორგანიზებული, ღრმად გააზრებული და ზუსტად მიესადაგება ნაწარმოების დრამატურგიას.

გამოყენებული ლიტერატურა

ორჯონიკიძე გ., ფიქრები სულხან ნასიმის სიმფონიურ ტრიადაზე. წიგნში: ნარკვევები სულხან ნასიმზე, რ. წურწუმias რედაქტორობით, თბ., სახელმწიფო კონსერვატორია, 2003, გვ. 6.

Article received: 2011-12-24